

ზოგიერთი ინფორმაცია მაკროეკონომიკური და ფისკალური მაჩვენებლის პროგნოზებთან დაკავშირებით

2019-2022 წლების საშუალოვადიანი პერიოდისათვის, მაკროეკონომიკური და ფისკალური მაჩვენებლები სრულად შეესაბამება საშუალოვადიან პერიოდში განსაზღვრულ იმ ჩარჩოს, რომელიც საქართველოს პარლამენტს წარედგინა „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის წარდგენასთან ერთად.

წარმოდგენილ მონაცემებში ასახულია 2017 წლის ფაქტიური მაჩვენებლები და უცვლელადაა დატოვებული 2019-2021 წლებში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები, ასევე საპროგნოზო მაჩვენებლებს დაემატა 2022 წლის მონაცემები.

წინა მაკრო-ფისკალური ჩარჩოს მიხედვით 2018 წლის რეალური ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 4.5%-ის, ხოლო 2019 წლის მაჩვენებელი 5%-ით განისაზღვრა. გასათვალისწინებელია, რომ ამ პერიოდში საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზები მცირედით ჩამორჩებოდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პროგნოზებს და 2018 წლისათვის 4.2%-ით, ხოლო 2019 წლისათვის 4.7%-ის ფარგლებში იყო პროგნოზირებული, თუმცა მიმდინარე წლის ივნისში ფონდის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის¹ მიხედვით, ფონდმა გაზარდა პროგნოზები და 2018-2019 წლების მაჩვენებლები 4.8%-ით განისაზღვრა.

პროგნოზის წყარო	MOF 2018-2021		MOF 2019-2022		IMF 2017		IMF 2018	
	2018	2019	2018	2019	2018	2019	2018	2019
რეალური ზრდა %	4.5%	5%	4.5%	5%	4.2%	4.7%	4.8%	4.8%

2019-2022 წლების საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი ასახავს არსებულ საგადასახადო პოლიტიკას და პროგნოზირებული მაჩვენებლები შესაბამისობაშია წინა პროგნოზთან.

მიმდინარე ხარჯების ნაწილში საშუალოვადიან პერიოდში კვლავ გაგრძელდება კონსოლიდაციის პოლიტიკა, რომელიც 2016 წლის ბოლოდან დაიწყო და მიმდინარე ხარჯების წილი მშპ-თან მიმართებაში კლებადი ხასიათის იქნება. 2016 წელს 25.9%-დან 2022 წლისათვის 20%-მდე შემცირდება. ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის გათვალისწინებული სახსრები კვლავ 8%-9%-ის ფარგლებში შენარჩუნდება.

¹ <http://www.imf.org/~media/files/publications/cr/2018/cr18198.ashx>

2019-2022 წლების ჩარჩო პარამეტრები მოიცავს, როგორც სახელმწიფო პენსიის ზრდის (2019-2020 წლებში), ისე დაგროვებითი საპენსიო სქემის ამოქმედებისათვის საჭირო დამატებით ხარჯებს და სოციალური უზრუნველყოფის წილი მშპ-სთან მიმართებაში 8.0%-9.0%-ის ფარგლებში შენარჩუნდება მიმდინარე ხარჯების წილის შემცირების ფონზე.

ასევე, პროგნოზებში გათვალისწინებულია 2021 წელს ევროზონდების გადაფარვისთვის საჭირო ღონისძიებები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების ჩარჩო ითვალისწინებს დეფიციტის შემდგომ შემცირებას არსებული 2.9%-დან 2.5%-მდე (მოდიფიცირებული GFSM 2001 მეთოდოლოგიით).

სამინისტროების პრიორიტეტები შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის პროგრამასთან „თავისუფლებს, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“.

2019-2022 წლების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის ფორმირების მიზნით განხორციელდა მაკროეკონომიკური პროგნოზის განახლება. საპროგნოზო პერიოდი გაიზარდა ერთი წლით. ამასთან, შეიცვალა საბაზო წლის მონაცემები. კერძოდ, 2017 წელი, ნაცვლად მოსალოდნელი მაჩვენებლებისა, წარმოდგენილია ფაქტიური (წინასწარი) შედეგებით, ხოლო 2016 წლის წინასწარი შედეგები შეცვლილია დაზუსტებული მონაცემებით. 2017 წლის მოსალოდნელი მაჩვენებლები განსხვავდება ფაქტიურისგან, რამაც გავლენა იქონია მთელ საპროგნოზო პერიოდზე. 2017 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მოსალოდნელი მაჩვენებელი იყო 4.5 პროცენტი, ფაქტიურმა მაჩვენებელმა კი 5.0 პროცენტი შეადგინა. ფაქტიური ინფლაცია (სამომხმარებლო ფასების ინდექსის პერიოდის საშუალო ცვლილება) 0.5 პროცენტით განსხვავდება პროგნოზირებულისგან. ხოლო მშპ-ს დეფლატორის ფაქტიურმა ცვლილებამ 2017 წელს 1.0 პროცენტით გადააჭარბა პროგნოზირებულს, რამაც გავლენა იქონია მთლიანი შიდა პროდუქტის ნომინალურ მაჩვენებელზე და ფაქტიური ნომინალური მშპ 526.7 მლნ ლარით (1.5 პროცენტით) მეტი იყო პროგნოზირებულთან შედარებით.

მიმდინარე პროგნოზის მიხედვით, მომდევნო წლების მშპ-ს ზრდისა და ფასების დონის ცვლილების ტემპების პროგნოზები უცვლელია. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, 2017 წლის ფაქტურმა მაჩვენებლებმა გავლენა იქონია საპროგნოზო პერიოდის ნომინალურ მშპ-ზე და იგი დაკორექტირდა მატების მიმართულებით.

დანახარჯების მიხედვით 2017 წლის მშპ-ს მოსალოდნელი სტრუქტურაც განსხვავდება პროგნოზირებულისგან, რაც ძირითადად არაპროგნოზირებადი ფაქტორების გავლენით და საგარეო სექტორის ფაქტიური შედეგების საპროგნოზო მაჩვენებლებისგან გადახრით არის გამოწვეული. აღნიშნულმა ფაქტორებმა გავლენა მოახდინა კერძო სექტორის განკარგვად შემოსავლებზე, მათ მიერ გაწეულ სამომხმარებლო ხარჯებსა და ინვესტიცებზე. ამ ცვლილებებმა ასახვა ჰპოვა მშპ-ს სტრუქტურის საშუალოვადიან პროგნოზებზეც.

საგარეო სექტორის 2017 წლის ფაქტიურ შედეგებზე, როგორც ზემოთ აღინიშნა გავლენა ჰქონდა სხვადასხვა არაპროგნოზირებად მოვლენებს და რისკ ფაქტორების

რეალიზაციას. 2017 წლის საქონლის ექსპორტი უმნიშვნელოდ განსხვავდებოდა პროგნოზისგან, თუმცა იმპორტი 2.3 პროცენტით აჭარბებდა პროგნოზირებულ მაჩვენებლებს. ასევე, მომსახურების ექსპორტის ფაქტიური მაჩვენებელი 2.2 პროცენტით, ხოლო მომსახურების იმპორტი 8.2 პროცენტით აჭარბებდა პროგნოზირებულს. მნიშვნელოვანი გადახრა გვექონდა წმინდა ფაქტორული შემოსავლების პროგნოზში, სადაც სხვაობამ 30 პროცენტი შეადგინა. პროგნოზირებულ მაჩვენებელთან შედარებით დაახლოებით 10 პროცენტისანი გადაჭარბება დაფიქსირდა უცხოეთიდან მიღებული ტრანსფერების შემთხვევაში. შედეგად, ფაქტორული შემოსავლებისა და კერძო ტრანსფერების გათვალისწინებით მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი პროგნოზირებულთან შედარებით 1,5 პროცენტით გაუმჯობესდა.

2017 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების და ხარჯების ფაქტიური შესრულება მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა პროგნოზირებულისგან. ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდო (მთავრობის დანაზოგები) შესაბამისობაშია პროგნოზთან. ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტმა შეადგინა 358 მლნ ლარი (მშპ-ს 0.9 პროცენტი). რაც შეეხება საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებულ დეფიციტს, აქ ფაქტიურმა შესრულებამ 1112.8 მლნ ლარი შეადგინა (მშპ-ს 2.9 პროცენტი).

ნაერთი ბიუჯეტის წარმოდგენილ ცხრილებში გათვალისწინებულია ის გარემოება, რომ საკასო მეთოდით აღრიცხვის შემთხვევაში დავალიანების დაფარვის თანხები უნდა აღრიცხოს მიმდინარე ხარჯებში. რადგან არ ხდება დავალიანების წარმოქმნის აღრიცხვა, მხოლოდ დაფარვის გადატანა დაფინანსების მუხლებში საშუალოვადიან პერიოდში ხელოვნურად ამცირებს ბიუჯეტის დეფიციტის სიდიდეს. წარმოდგენილ ცხრილებში გათვალისწინებულია აღნიშნული ცვლილება, რაც ასევე წარმოადგენდა საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნასაც.

ნაერთი ბიუჯეტის 2017 წლის ფაქტიურ შესრულებას უმნიშვნელო გავლენა აქვს 2018 წლის და შემდგომ 2019-2022 წლების საპროგნოზო მაჩვენებლებზე. ცვლილება ძირითადად აისახა პირდაპირი და არა პირდაპირი გადასახადების პროგნოზებზე, თუმცა ჯამური გავლენა გადასახადების პროგნოზებზე უმნიშვნელოა. 2018 წლის ბიუჯეტი დაგეგმილი იყო მთავრობის მიერ გამოცხადებული გეგმის შესაბამისად. ნაერთი ბიუჯეტის პროგნოზებში ასახულია ყველა გადაწყვეტილება, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ნაერთი ბიუჯეტის მაჩვენებლებზე. 2019-2022 წლის ფისკალურ მაჩვენებლებში ცვლილებები ძირითადად გამოწვეულია მაკროეკონომიკური პროგნოზების, კერძოდ კი ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლის დაზუსტებით. ამასთან, ფისკალურ ინდიკატორებზე საშუალოვადიან პერიოდში, გავლენა მოახდინა საპენსიო რეფორმის მოსალოდნელმა ეფექტმა, რომელზეც ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა. ამასთან, გასათვალისწინებელია რომ 2021 წელს ევროზონდების დაფარვის მიზნით გასატარებელია შესაბამისი ღონისძიებები, რაც გავლენას ახდენს ვალის აღებისა და დაფარვის მაჩვენებლებზე, ადგილი ექნება საგარეო ვალდებულებების ზრდას. თუმცა ეს გავლენას არ იქონიებს წმინდა პოზიციაზე. გარდა აღნიშნული გარემოებებისა, ფისკალურ ინდიკატორების მნიშვნელოვანი კორექტირება არ განხორციელებულა, რადგან თავდაპირველი პროგნოზით ისედაც იყო გათვალისწინებული

ძირითადი ფისკალური მიზნებისა და ამოცანების მიღწევა. კერძოდ, ფისკალური კონსოლიდაცია და ბიუჯეტის დეციციტის (როგორც მთლიანი სალდოს, ისე ტრაციციული დეფიციტის) შემცირება; მიმდინარე ხარჯების შემცირება; კაპიტალური ხარჯების ზრდა; საგადასახადო კანონმდებლობისა თუ სხვა კანონების დაგეგმილი ცვლილებები.

ინფორმაცია მაკროეკონომიკური პროგნოზების ამსახველი ცხრილების შესახებ

პროგნოზები მომზადებულია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მსგავსი ფორმითა და მეთოდოლოგიით. წარმოდგენილი ფორმატი მიახლოებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ, ფინანსური პროგრამის მომზადებისას გამოყენებულ ფორმატთან. თუმცა პროგნოზის ფორმირებისას გათვალისწინებულია საქართველოში არსებული რეალური მდგომარეობა და გამოყენებული მეთოდოლოგია არ არის სხვა არსებული მეთოდოლოგიის მექანიკური კოპირება.

სპეციალურ დანართში მოცემულია მაკროეკონომიკური პროგნოზის ამსახველი 6 ცხრილი (8 ფურცელი). პირველი ცხრილი არის ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების ნაკრები, ხოლო დანარჩენი 5 ცხრილი არის ეროვნული ანგარიშებისა და სხვა სექტორების განვითარების ამსახველი საპროგნოზო მაჩვენებლები.

ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების ამსახველი ცხრილი 1 პირობითად გაყოფილია ორ ნაწილად. პირველ ნაწილში წარმოდგენილია ეკონომიკური ინდიკატორის ცვლილება წინა წელთან შედარებით (თუ ცხრილში სხვაგვარად არ არის მითითებული), ხოლო მეორე ნაწილში მოცემულია ეკონომიკური ინდიკატორების ფარდობითი სიდიდეები მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ.

ცხრილი 1-ში მოცემულია ნომინალური და რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) და მათი პროცენტული ცვლილება წინა წელთან შედარებით, მშპ ერთ სულ მოსახლეზე, ქვეყანაში ინვესტიციების მოცულობა მიმდინარე ფასებში, სამომხმარებლო ფასების და მშპ-ს დეფლატორის პროცენტული ცვლილება. მოცემულია ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების პროცენტული ცვლილება წინა წელთან. აქვე გვაქვს ექსპორტისა და იმპორტის პროცენტული ცვლილებები და ფულის მასის აგრეგირების მოსალოდნელი ზრდა წინა წელთან შედარებით. ცხრილი მოიცავს ფულის მიმოქცევის სიჩქარის, ფულის მულტიპლიკატორის და ქვეყნის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების საპროგნოზო მაჩვენებლებსაც. პირველ ნაწილშია მოცემული სესხებზე და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთების საპროგნოზო მაჩვენებლებიც.

ცხრილის მეორე ნაწილში წარმოდგენილია ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები, ხარჯები, საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო პროცენტულად მშპ-სთან. სავაჭრო ბალასი და მიმდინარე ანგაიშის დეფიციტი როგორც ტრანსფერების ჩათვლით, ისე მის გარეშე. ასევე, მთავრობის საშინაო და საგარეო ვალის შეფასების ინდიკატორები. კერძოდ, საშინაო და საგარეო ვალი პროცენტულად მშპ-ს მიმართ,

საგრეო ვალი და ვალის მომსახურება პროცენტულად ექსპორტთან და ვალი ბიუჯეტის შემოსავლებთან.

მე-2 ცხრილში „ეროვნული ანგარიშები“ მოცემულია ე.წ. რეალური სექტორის განვითარების მაჩვენებლები. ამ ცხრილებში წარმოდგენილია მთლიანი შიდა პროდუქტის და მისი შემადგენელი კომპონენტების: მთავრობისა და კერძო სამომხმარებლო ხარჯების, ინვესტიციებისა და წმინდა ექსპორტის პროგნოზები, აქვე ნაჩვენებია მთლიანი ეროვნული პროდუქტის და მთლიანი ეროვნული და კერძო განკარგვადი შემოსავლების პროგნოზები. ამავე ცხრილშია ნაჩვენები, დანაზოგებისა და ინვესტიციების დინამიკა. აღნიშნული მაჩვენებლები მოცემულია როგორც მიმდინარე ფასებში, ასევე რეალურ გამოხატულებაში (2001 წლის ფასებში) და პროცენტულად მშპ-ს მიმართ.

ამავე ცხრილში წარმოდგენილია სხვადასხვა საცნობარო ინფორმაცია, ისეთი როგორცაა სამომხმარებლო ფასების ინდექსები (საშუალო პერიოდული და პერიოდის ბოლოსთვის), მშპ-ს დეფლატორი და ინფლაცია, პროცენტები სესხებზე და დეპოზიტებზე.

მე-3 ცხრილში ნაჩვენებია ნაერთი ბიუჯეტის პროგნოზები. ნაერთი ბიუჯეტი მოცემულია მილიონ ლარში და პროცენტულად მშპ-სთან. ცალკე მუხლებად არის გაშიფრული ბიუჯეტის შემოსავლები, ხარჯები, არა ფინანსური და ფინანსური აქტივების, ვალდებულებებისა და დეპოზიტზე არსებული ნაშთის ცვლილება. ამავე ცხრილში მოცემულია ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებლები, როგორცაა საოპერაციო სალდო და ბიუჯეტის დეფიციტი, როგორც მილიონ ლარში, ასევე მშპ-ს პროცენტი.

ნაერთ ბიუჯეტთან ერთად მოცემულია სახელმწიფო ვალის და ვალის მომსახურების სხვადასხვა მაჩვენებელი, რომელთა ნაწილიც ასევე მოცემულია 1-ლ ცხრილშიც.

მე-3 ცხრილში „საგადამხდელო ბალანსი“ მოცემულია საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ამსახველი ძირითადი მაჩვენებლები როგორც აშშ დოლარში, ისე პროცენტულად მშპ-ს მიმართ. ამ ცხრილებში მოცემულია საქონლისა და მომსახურების ექსპორტი და იმპორტი, სავაჭრო და მომსახურების ბალანსი, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობებიდან მიღებული წმინდა ფაქტორული შემოსავლები, წმინდა ტრანსფერები, მიმდინარე ანგარიშის ბალანსი, კაპიტალისა და ფინანსური ოპერაციები, ინფორმაცია უცხოური კაპიტალის მოძრაობის შესახებ და ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების ცვლილება.

მე-5 და მე-6 ცხრილები ცვიჩვენებს მონეტარული სექტორის განვითარების დინამიკას. დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვა გვიჩვენებს მთლიანად საბანკო სექტორს, მაშინ როდესაც (მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე) მე-6 ცხრილში ეროვნული ბანკი ცალკეა გამოყოფილი. წარმოდგენილი პროგნოზი არ არის ეროვნული ბანკის სამოქმედო გეგმა, თუმცა ეროვნული ბანკის გარეშე პროგნოზი იქნებოდა ფრაგმენტული და შეუძლებელი გახდებოდა საბანკო სისტემაზე სამთავრობო სექტორის შესაძლო არა სასურველი გავლენის მონიტორინგი. საბანკო სექტორის მაჩვენებლების პროგნოზები მოცემულია როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე პროცენტული ცვლილება წინა წელთან და პროცენტულად

მშპ-ს მიმართ. საბანკო სექტორისა და ეროვნული ბანკის მაჩვენებლებში მოცემულია საგარეო აქტივები და ვალდებულებები, საშინაო აქტივები, მათ შორის: მთავრობის, ბანკების და კერძო სექტორის დავალიანება და სხვა წმინდა აქტივები. აქვეა ნაჩვენები ფართო ფული, სარეზერვო ფული, მიმოქცევაში და ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული, დეპოზიტები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში და სხვა მაჩვენებლები. ცხრილებში წარმოდგენილია მემორანდუმის მუხლები სადაც არის, ფულის მიმოქცევის სიჩქარე, ფულის მულიპლიკატორი, მთლიანი სართაშორისო რეზერვები როგორც აშშ დოლარში, ისე ერთი თვის საშუალო იმპორტის ჯერადი. წარმოდგენილია დეპოზიტების დოლარიზაციის კოეფიციენტი და კერძო (არა სამთავრობო) სექტორის დაკრედიტების მაჩვენებელი.

წარმოდგენილი პროგნოზი კომპლექსურია და შესაძლებლობას იძლევა შეფასდეს და დაროულად გამოვლინდეს ფისკალური პოლიტიკის როგორც დადებითი ასევე შესაძლო უაროფითი ეფექტი. აღსანიშნავია ასევე, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფისკალური გამჭვირვალობის მისიის და PEFA ანგარიშის მიხედვით საქართველოს მაკროეკონომიკური პროგნოზები იმსახურებს დადებით შეფასებას.

ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორები (პროგნოზების შედარება)

	2019-2022*	2018-2021*	2019-2022*	2018-2021*	2019-2022*	2018-2021*	2019-2022*	2018-2021*	2019-2022*	2018-2021*	2019-2022*	2019-2022*
	2016 ფაქტ.	2017 მოსალ.	2017 ფაქტ.	2018 პროგნ.	2018 მოსალ.	2019 პროგნ.	2019 პროგნ.	2020 პროგნ.	2020 პროგნ.	2021 პროგნ.	2021 პროგნ.	2022 პროგნ.
(პროცენტული ცვლილება წინა წელთან თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)												
ეროვნული შემოსავალი და ფასები												
ნომინალური მშპ	7.2%	10.2%	11.8%	8.2%	8.2%	8.2%	8.1%	8.7%	8.7%	9.2%	9.2%	9.2%
რეალური მშპ	2.8%	4.5%	5.0%	4.5%	4.5%	5.0%	5.0%	5.5%	5.5%	6.0%	6.0%	6.0%
ნომინალური მშპ												
მლნ ლარი	34028.5	37515.5	38042.2	40575.8	41145.5	43882.8	44498.9	47685.2	48354.7	52062.7	52793.7	57640.1
მლნ აშშ დოლარი	14377.8	15006.2	15159.0	16230.3	16458.2	17553.1	17799.5	19074.1	19341.9	20825.1	21117.5	23056.0
მშპ ერთ სულ მოსახლეზე												
ლარი	9146.4	10083.7	10231.4	10906.3	11066.0	11795.2	11967.9	12817.2	13004.9	13993.8	14198.7	15502.2
აშშ დოლარი	3864.6	4033.5	4078.5	4362.5	4426.4	4718.1	4787.1	5126.9	5201.9	5597.5	5679.5	6200.9
ინვესტიციები, მლნ ლარი	12865.5	14574.8	14447.2	16264.6	15808.2	18099.1	17771.5	20224.4	19902.2	22765.6	22455.0	25140.1
სამომხმარებლო ფასების ინდექსი, საშუალო პერიოდის	2.1%	5.5%	6.0%	3.5%	3.5%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%
სამომხმარებლო ფასების ინდექსი, პერიოდის ბოლოს	1.8%	5.5%	6.7%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%
მშპ-ს დეფლატორი	4.2%	5.5%	6.5%	3.5%	3.5%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%
ნაერთი ბიუჯეტი												
გადასახადები და სოციალური შენატანები	9.7%	10.9%	11.3%	5.3%	4.9%	9.2%	9.2%	8.0%	8.2%	8.2%	8.4%	8.1%
გადასახადები	9.7%	10.9%	11.3%	5.3%	4.9%	9.2%	9.2%	8.0%	8.2%	8.2%	8.4%	8.1%
ხარჯები და არა ფინანსური აქტივების ზრდა	8.9%	6.6%	9.0%	8.2%	5.8%	7.9%	9.2%	7.1%	7.3%	6.7%	7.0%	7.4%
ხარჯები	11.5%	4.0%	4.2%	4.5%	4.3%	5.3%	5.3%	4.4%	4.4%	2.8%	2.8%	4.7%
საგარეო სექტორი												
ექსპორტი	0.8%	21.0%	21.9%	9.4%	10.4%	10.1%	9.8%	11.0%	10.6%	11.8%	11.4%	11.4%
საქონელი	-5.4%	24.9%	23.9%	11.2%	11.5%	11.2%	11.1%	11.6%	11.5%	12.0%	11.9%	11.9%
მომსახურება	7.0%	17.6%	20.1%	7.7%	9.4%	9.1%	8.6%	10.3%	9.8%	11.6%	11.0%	11.0%
იმპორტი	-2.0%	6.8%	10.5%	8.8%	9.5%	8.7%	8.9%	9.4%	9.6%	10.1%	10.3%	10.3%
საქონელი	-3.3%	7.4%	9.9%	8.7%	9.5%	8.8%	9.1%	9.6%	9.8%	10.3%	10.6%	10.6%
მომსახურება	3.3%	4.5%	13.0%	9.3%	9.8%	8.4%	8.4%	8.8%	8.8%	9.2%	9.2%	9.2%
ფული და კრედიტი (პერიოდის ბოლოს)												
სარეზერვო ფული	28.0%	17.0%	8.1%	13.7%	13.8%	14.0%	14.0%	15.4%	15.4%	17.0%	16.9%	17.0%
ფართო ფული ე3	20.2%	15.7%	14.8%	13.6%	13.7%	14.4%	14.3%	15.8%	15.7%	17.2%	17.1%	17.1%
ფართო ფული ე2	12.9%	18.2%	29.4%	15.4%	15.5%	16.2%	16.2%	17.4%	17.5%	18.7%	18.8%	18.8%
ფულის მიმოქცევის სიჩქარე												
M3	2.1	2.0	2.1	1.9	2.0	1.8	1.9	1.7	1.7	1.6	1.6	1.5
M2	5.2	4.9	4.5	4.6	4.2	4.3	3.9	3.9	3.6	3.6	3.3	3.1
ფულის მულტიპლიკატორი												
M3	2.53	2.50	2.69	2.50	2.69	2.51	2.70	2.52	2.70	2.52	2.71	2.71
M2	1.03	1.04	1.23	1.05	1.25	1.07	1.27	1.09	1.30	1.11	1.32	1.34
მთლიანი საერთაშორისო რეზერვები												
ერთი თვის საშუალო იმპორტის გერადი	3.9	4.1	3.8	4.1	3.9	4.2	3.9	4.2	3.9	4.2	3.9	3.9
მლნ აშშ დოლარი	2756.4	3087.2	3015.3	3395.9	3316.9	3735.5	3648.6	4109.1	4013.5	4520.0	4414.8	4856.3
საპროცენტო განაკვეთები (ეროვნულ ვალუტაში), პროცენტი												
სესხებზე	19.6%	17.5%	16.7%	15.5%	14.7%	13.5%	12.7%	11.5%	10.7%	9.5%	8.7%	6.7%
დეპოზიტებზე	9.4%	8.4%	8.8%	7.4%	7.8%	6.4%	6.8%	5.4%	5.8%	4.4%	4.8%	3.8%

	2019-2022*	2018-2021*	2019-2022*	2018-2021*	2019-2022*	2018-2021*	2019-2022*	2018-2021*	2019-2022*	2018-2021*	2019-2022*	2018-2021*	2019-2022*
	2016	2017	2017	2018	2018	2019	2019	2020	2020	2021	2021	2022	2022
	ფაქტ.	მოსალ.	ფაქტ.	პროგნ.	მოსალ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.
(პროცენტულად მშპ-სთან თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)													
რეალური სექტორი													
ინვესტიციები	37.8%	38.9%	38.0%	40.1%	38.4%	41.2%	39.9%	42.4%	41.2%	43.7%	42.5%	43.6%	
ნაერთი ბიუჯეტი													
შემოსავლები	28.4%	29.0%	28.7%	28.3%	27.9%	28.1%	27.7%	27.7%	27.4%	27.3%	27.0%	26.5%	
გადასახადები და სოციალური შენატანები	25.8%	26.0%	25.7%	25.3%	24.9%	25.5%	25.2%	25.4%	25.1%	25.1%	24.9%	24.6%	
გადასახადები	25.8%	26.0%	25.7%	25.3%	24.9%	25.5%	25.2%	25.4%	25.1%	25.1%	24.9%	24.6%	
სოციალური შენატანები	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	
ხარჯები და არა ფინანსური აქტივების შექმნა	31.0%	29.9%	30.3%	29.9%	29.6%	29.9%	29.9%	29.4%	29.5%	28.8%	28.9%	28.4%	
ხარჯები	25.9%	24.4%	24.2%	23.5%	23.3%	22.9%	22.7%	22.0%	21.8%	20.7%	20.5%	19.7%	
არა ფინანსური აქტივების შექმნა	5.1%	5.5%	6.1%	6.4%	6.3%	6.9%	7.2%	7.4%	7.7%	8.0%	8.4%	8.8%	
საოპერაციო სალდო	2.5%	4.6%	4.5%	4.7%	4.6%	5.2%	5.0%	5.7%	5.6%	6.5%	6.5%	6.8%	
მთლიანი სალდო	-1.5%	-0.5%	-0.9%	-1.3%	-1.4%	-1.4%	-1.9%	-1.4%	-1.8%	-1.3%	-1.7%	-1.7%	
საგარეო სექტორი													
საქონლით ვაჭრობის ბალანსი	-26.9%	-24.3%	-25.3%	-23.9%	-25.1%	-23.5%	-24.9%	-23.2%	-24.7%	-23.0%	-24.7%	-24.7%	
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი													
ტრანსფერების გარეშე	-20.7%	-17.9%	-17.1%	-17.3%	-16.4%	-16.4%	-15.7%	-15.3%	-14.9%	-13.9%	-13.9%	-13.0%	
ტრანსფერების ჩათვლით	-12.8%	-10.2%	-8.7%	-9.6%	-8.1%	-9.0%	-7.7%	-8.1%	-7.1%	-6.9%	-6.3%	-5.5%	
მთავრობის ვალეები													
მთავრობის ვალი პროცენტულად მშპ-სთან	44.4%	42.9%	44.3%	43.1%	43.0%	42.8%	42.6%	42.4%	42.2%	41.3%	41.3%	40.2%	
საგარეო ვალი პროცენტულად მშპ-სთან	35.1%	33.5%	35.0%	33.5%	33.5%	33.0%	33.0%	32.7%	32.6%	31.9%	31.8%	30.9%	
საგარეო ვალი პროცენტულად ექსპორტთან	71.8%	66.1%	66.5%	65.4%	65.2%	63.4%	63.3%	61.4%	61.5%	58.6%	58.8%	56.0%	
საგარეო ვალის მომსახურება პროცენტულად ექსპორტთან	3.5%	3.7%	3.6%	4.9%	4.8%	4.8%	4.7%	4.4%	4.3%	8.2%	8.1%	3.7%	
საგარეო ვალი პროცენტულად ბიუჯეტის შემოსავლებთან	123.4%	115.6%	121.8%	118.6%	120.1%	117.6%	119.0%	117.9%	119.1%	117.2%	118.0%	116.6%	
საშინაო ვალი პროცენტულად მშპ-სთან	9.3%	9.4%	9.3%	9.6%	9.5%	9.7%	9.6%	9.7%	9.6%	9.4%	9.4%	9.3%	
მთავრობის ვალი პროცენტულად ბიუჯეტის შემოსავლებთან	156.1%	148.1%	154.2%	152.6%	154.1%	152.2%	153.6%	152.8%	154.0%	151.6%	153.0%	151.6%	
საგარეო ვალის მომსახურება პროცენტულად ბიუჯეტის შემოსავლებთან	5.5%	6.6%	6.3%	8.8%	8.8%	8.8%	8.8%	8.4%	8.3%	16.4%	16.3%	7.8%	

2018-2021* - ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი 2017-2020 წლებისათვის (საბოლოო ვარიანტი)
2019-2022* - ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი 2018-2021 წლებისათვის (პირველადი ვარიანტი)

2019-2022*	2018-2021*	2019-2022*	2018-2021*	2019-2022*	2018-2021*	2019-2022*	2018-2021*	2019-2022*	2018-2021*	2019-2022*	2018-2021*	2019-2022*	2019-2022*
2016	2017	2017	2018	2018	2019	2019	2020	2020	2021	2021	2021	2021	2022
ფაქტ.	მოსალ.	ფაქტ.	პროგნ.	მოსალ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.

მემორანდუმის მუხლები

ტრადიციული დეფიციტი (საკასო)	-1,380.8	-1,445.0	-1,498.5	-1,356.0	-1,356.0	-1,420.0	-1,380.0	-1,445.0	-1,431.0	-1,419.0	-1,474.0	-1,492.0
პირველადი დეფიციტი (ვალდებულებები)	-921.6	-915.0	-956.7	-761.0	-761.0	-775.0	-735.0	-760.0	-746.0	-739.0	-794.0	-784.0
პირველადი დეფიციტი (საკასო)	-977.9	-950.0	-1017.0	-796.0	-796.0	-810.0	-770.0	-795.0	-781.0	-774.0	-829.0	-819.0
მთავრობის საგარეო ვალი, მლნ აშშ დოლარი	4510.1	5022.5	5091.9	5440.2	5509.6	5800.2	5869.6	6238.2	6307.6	6650.2	6719.6	7131.6
საგარეო ვალის მომსახურება, მლნ აშშ დოლარი	222.9	284.8	275.6	406.0	406.0	436.0	436.0	442.0	442.0	930.0	930.0	476.0
ძირითადი თანხა, მლნ. აშშ დოლარი	140.5	182.8	180.9	290.0	290.0	320.0	320.0	322.0	322.0	828.0	828.0	368.0
პროცენტი, მლნ აშშ დოლარი	82.4	102.0	94.6	116.0	116.0	116.0	116.0	120.0	120.0	102.0	102.0	108.0
მთავრობის სამინაო ვალი, მლნ ლარი	3170.7	3540.0	3535.2	3905.0	3900.2	4265.0	4260.2	4625.0	4620.2	4885.0	4980.2	5340.2
მთავრობის საგარეო ვალი პროცენტულად მშპ-თან	35.1%	33.5%	35.0%	33.5%	33.5%	33.0%	33.0%	32.7%	32.6%	31.9%	31.8%	30.9%
მთავრობის საგარეო ვალი პროცენტულად ექსპორტთან	71.8%	66.1%	66.5%	65.4%	65.2%	63.4%	63.3%	61.4%	61.5%	58.6%	58.8%	56.0%
მთავრობის საგარეო ვალის მომსახურება პროცენტულად ექსპორტთან	3.5%	3.7%	3.6%	4.9%	4.8%	4.8%	4.7%	4.4%	4.3%	8.2%	8.1%	3.7%
მთავრობის საგარეო ვალის პროცენტის მომსახურება პროცენტულად ექსპორტთან	1.3%	1.3%	1.2%	1.4%	1.4%	1.3%	1.3%	1.2%	1.2%	0.9%	0.9%	0.8%
შემოსავლებთან	156.1%	148.1%	154.2%	152.6%	154.1%	152.2%	153.6%	152.8%	154.0%	151.6%	153.0%	151.6%
მთავრობის საგარეო ვალის მომსახურება პროცენტულად ბიუჯეტის შემოსავლებთან	5.5%	6.6%	6.3%	8.8%	8.8%	8.8%	8.8%	8.4%	8.3%	16.4%	16.3%	7.8%
მთავრობის საგარეო ვალის მომსახურება პროცენტულად ხარჯებსა და არაფინანსური აქტივების შექმნასთან	5.0%	6.3%	6.0%	8.4%	8.3%	8.3%	8.2%	7.9%	7.7%	15.5%	15.2%	7.3%
მთავრობის საგარეო ვალის პროცენტის დაფარვა პროცენტულად ხარჯებსა და არაფინანსური აქტივების შექმნასთან	1.8%	2.3%	2.1%	2.4%	2.4%	2.2%	2.2%	2.1%	2.1%	1.7%	1.7%	1.6%

(პროცენტულად მშპ-სთან)

შემოსავლები	28.4%	29.0%	28.7%	28.3%	27.9%	28.1%	27.7%	27.7%	27.4%	27.3%	27.0%	26.5%
გადასახადები	25.8%	26.0%	25.7%	25.3%	24.9%	25.5%	25.2%	25.4%	25.1%	25.1%	24.9%	24.6%
არაპირდაპირი გადასახადები	13.0%	14.8%	14.8%	14.6%	14.6%	14.8%	14.8%	14.7%	14.6%	14.6%	14.6%	14.4%
პირდაპირი გადასახადები	12.8%	11.2%	10.9%	10.7%	10.4%	10.7%	10.3%	10.7%	10.4%	10.6%	10.3%	10.2%
სოციალური შენატანები	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
გრანტები	0.9%	1.0%	0.9%	1.1%	1.1%	0.9%	0.9%	0.8%	0.8%	0.7%	0.7%	0.6%
სხვა შემოსავლები	1.7%	2.0%	2.1%	1.8%	1.8%	1.7%	1.7%	1.6%	1.6%	1.4%	1.4%	1.3%
ხარჯები	25.9%	24.4%	24.2%	23.5%	23.3%	22.9%	22.7%	22.0%	21.8%	20.7%	20.5%	19.7%
შრომის ანაზღაურება	5.2%	4.4%	4.3%	4.2%	4.2%	4.0%	4.0%	3.8%	3.8%	3.6%	3.5%	3.4%
საქონელი და მომსახურება	4.1%	4.0%	4.0%	3.7%	3.7%	3.5%	3.5%	3.3%	3.3%	3.2%	3.1%	3.0%
პროცენტი	1.2%	1.3%	1.3%	1.4%	1.4%	1.4%	1.4%	1.4%	1.3%	1.2%	1.2%	1.2%
საგარეო	0.6%	0.7%	0.6%	0.7%	0.7%	0.7%	0.7%	0.6%	0.6%	0.5%	0.5%	0.5%
სამინაო	0.6%	0.6%	0.6%	0.7%	0.7%	0.7%	0.7%	0.7%	0.7%	0.7%	0.7%	0.7%
სუბსიდიები	2.2%	2.2%	2.4%	2.1%	2.1%	2.0%	2.0%	1.9%	1.9%	1.8%	1.8%	1.7%
გრანტები	0.1%	0.2%	0.1%	0.2%	0.2%	0.2%	0.2%	0.2%	0.2%	0.2%	0.2%	0.2%
სოციალური უზრუნველყოფა	10.0%	9.4%	9.3%	9.2%	9.0%	9.2%	9.1%	8.9%	8.8%	8.5%	8.4%	8.0%
სხვა ხარჯები	3.2%	2.8%	2.8%	2.8%	2.8%	2.6%	2.7%	2.5%	2.5%	2.3%	2.3%	2.2%
საოპერაციო სალდო	2.5%	4.6%	4.5%	4.7%	4.6%	5.2%	5.0%	5.7%	5.6%	6.5%	6.5%	6.8%
არაფინანსური აქტივების წმინდა ზრდა	4.0%	5.0%	5.5%	6.0%	5.9%	6.6%	6.9%	7.1%	7.4%	7.8%	8.1%	8.5%
ზრდა	5.1%	5.5%	6.1%	6.4%	6.3%	6.9%	7.2%	7.4%	7.7%	8.0%	8.4%	8.8%

	2019-2022*	2018-2021*	2019-2022*	2018-2021*	2019-2022*	2018-2021*	2019-2022*	2018-2021*	2019-2022*	2018-2021*	2019-2022*	2019-2022*
	2016	2017	2017	2018	2018	2019	2019	2020	2020	2021	2021	2022
	ფაქტ.	მოსალ	ფაქტ.	პროგნ.	მოსალ	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.
შემცირება	-1.1%	-0.5%	-0.6%	-0.4%	-0.4%	-0.3%	-0.3%	-0.3%	-0.3%	-0.2%	-0.2%	-0.2%
მთლიანი სალდო	-1.5%	-0.5%	-0.9%	-1.3%	-1.4%	-1.4%	-1.9%	-1.4%	-1.8%	-1.3%	-1.7%	-1.7%
ფინანსური აქტივების წმინდა ზრდა	1.4%	2.8%	2.3%	1.6%	1.6%	1.4%	0.9%	1.3%	0.8%	1.2%	0.9%	0.7%
ზრდა	1.6%	3.0%	2.6%	1.8%	1.7%	1.6%	1.1%	1.5%	1.0%	1.3%	1.0%	0.9%
შემცირება	-0.2%	-0.2%	-0.3%	-0.2%	-0.2%	-0.2%	-0.2%	-0.2%	-0.2%	-0.2%	-0.2%	-0.2%
ვალდებულებების წმინდა ზრდა	3.2%	2.9%	3.0%	3.0%	3.1%	2.8%	2.8%	3.0%	3.0%	2.4%	2.6%	2.4%
საშინაო	1.0%	0.9%	0.9%	0.8%	0.9%	0.7%	0.8%	0.7%	0.7%	0.4%	0.7%	0.6%
ფულად საკრედიტო ორგანოები	-0.1%	-0.1%	-0.1%	-0.1%	-0.1%	-0.1%	-0.1%	-0.1%	-0.1%	-0.1%	-0.1%	-0.1%
სხვა ვალდებულებები	1.1%	1.0%	1.0%	1.0%	0.9%	0.9%	0.9%	0.8%	0.8%	0.6%	0.7%	0.7%
სხვა კრედიტორული დავალიანება	0.0%	-0.1%	0.0%	-0.1%	0.0%	-0.1%	0.0%	-0.1%	0.0%	-0.1%	0.0%	0.0%
საგარეო	2.2%	2.0%	2.1%	2.3%	2.2%	2.1%	2.0%	2.3%	2.3%	2.0%	2.0%	1.8%
ადება	3.2%	3.2%	3.3%	4.0%	4.0%	3.9%	3.8%	4.0%	3.9%	6.0%	5.9%	3.4%
დაფარვა	-1.0%	-1.2%	-1.2%	-1.8%	-1.8%	-1.8%	-1.8%	-1.7%	-1.7%	-4.0%	-3.9%	-1.6%
დეპოზიტებზე ნაშთის ცვლილება (+ ზრდა)	0.3%	-0.4%	-0.2%	0.2%	0.2%	0.0%	0.0%	0.3%	0.3%	0.0%	0.1%	0.0%
ეროვნული ბანკი	0.4%	-0.4%	-0.1%	0.2%	0.2%	0.0%	0.0%	0.3%	0.3%	0.0%	0.1%	0.0%
კომერციული ბანკები	-0.2%	0.0%	-0.2%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
ბალანსი	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%

2018-2021* - ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი 2017-2020 წლებისათვის (საბოლოო ვარიანტი)

2019-2022* - ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი 2018-2021 წლებისათვის (პირველადი ვარიანტი)

პროგნოზების შედარება

ცხრ.1. ძირითადი ვარაუდები და დაშვებები

	2017 ფაქტ.	2018 მოსალ.	2019 პროგნ.	2020 პროგნ.	2021 პროგნ.	2022 პროგნ.
რეალური მშპ-ს ზრდა, %						
წინა პოგნოზი	4.5%	4.5%	5.0%	5.5%	6.0%	
ახალი პროგნოზი	5.0%	4.5%	5.0%	5.5%	6.0%	6.0%
სხვაობა	0.5%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	6.0%
მშპ-ს დეფლატორის პროცენტული ცვლილება						
წინა პოგნოზი	5.5%	3.5%	3.0%	3.0%	3.0%	
ახალი პროგნოზი	6.5%	3.5%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%
სხვაობა	1.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	3.0%
საპროცენტოგანაკვეთი სესხეხზე, %						
წინა პოგნოზი	17.5%	15.5%	13.5%	11.5%	9.5%	
ახალი პროგნოზი	16.7%	14.7%	12.7%	10.7%	8.7%	6.7%
სხვაობა	-0.8%	-0.8%	-0.8%	-0.8%	-0.8%	6.7%
საპროცენტოგანაკვეთი დეპოზიტებზე, %						
წინა პოგნოზი	8.4%	7.4%	6.4%	5.4%	4.4%	
ახალი პროგნოზი	8.8%	7.8%	6.8%	5.8%	4.8%	3.8%
სხვაობა	0.4%	0.4%	0.4%	0.4%	0.4%	3.8%

ეროვნული ანგარიშები

ცხრ.2. ნომინალური მშპ-ს ცვლილება

(მილიონი ლარი)	2017 ფაქტ.	2018 მოსალ.	2019 პროგნ.	2020 პროგნ.	2021 პროგნ.	2022 პროგნ.
ნომინალური მშპ-ს წინა პოგნოზი	37,515.5	40,575.8	43,882.8	47,685.2	52,062.7	0.0
ცვლილებები						
სამომხმარებლო ხარჯები	1,315.2	1,694.8	1,783.6	2,042.5	2,354.1	38,118.2
მთავრობა	14.7	0.0	0.0	0.0	0.0	3,675.0
კერძო	1,300.6	1,694.8	1,783.6	2,042.5	2,354.1	34,443.2
ინვესტიციები	-127.5	-456.4	-327.6	-322.1	-310.6	25,140.1
მთავრობა	238.9	0.0	160.0	200.0	250.0	5,050.0
კერძო	-366.5	-456.4	-487.6	-522.1	-560.6	20,090.1
ექსპორტი	211.3	345.6	308.9	260.6	196.1	31,861.0
საქონელი	-40.6	-56.9	-72.5	-90.7	-112.0	15,707.3
მომსახურება	251.8	402.5	381.3	351.3	308.1	16,153.7
იმპორტი	872.2	1,014.3	1,148.8	1,311.5	1,508.6	37,479.1
საქონელი	483.2	584.0	681.6	802.3	951.7	29,925.6
მომსახურება	389.0	430.3	467.2	509.2	556.9	7,553.5
სულ მთლიანი შიდა პროდუქტის ცვლილება	526.7	569.7	616.1	669.5	730.9	57,640.1
ნომინალური მშპ-ს ახალი პროგნოზი	38,042.2	41,145.5	44,498.9	48,354.7	52,793.7	57,640.1

ცხრ. 3. რეალური მშპ-ს ცვლილება

	2017 ფაქტ.	2018 მოსალ.	2019 პროგნ.	2020 პროგნ.	2021 პროგნ.	2022 პროგნ.
რეალური მშპ-ს წინა პოგნოზი	15,971.1	16,689.8	17,524.3	18,488.2	19,597.5	0.0
ცვლილებები						
სამომხმარებლო ხარჯები	525.2	667.5	681.9	763.5	860.3	14,570.4
მთავრობა	-0.6	-7.0	-7.0	-7.0	-7.0	1,404.7
კერძო	525.8	674.5	688.8	770.5	867.3	13,165.7
ინვესტიციები	-89.8	-231.8	-175.1	-172.1	-167.7	9,609.6
მთავრობა	101.7	-5.6	60.4	73.9	90.1	1,930.3
კერძო	-191.5	-226.1	-235.5	-246.0	-257.8	7,679.3
ექსპორტი	14.1	61.7	37.6	9.0	-25.8	11,536.0
საქონელი	-53.2	-61.9	-70.5	-80.1	-91.1	5,687.2
მომსახურება	67.3	123.6	108.1	89.1	65.3	5,848.8
იმპორტი	375.4	419.7	462.8	514.2	575.6	14,846.1
საქონელი	200.7	233.9	267.0	307.3	356.1	11,854.0
მომსახურება	174.7	185.8	195.8	206.9	219.6	2,992.1
სულ მთლიანი შიდა პროდუქტის ცვლილება	74.1	77.7	81.6	86.1	91.2	20,870.0
რეალური მშპ-ს ახალი პროგნოზი	16,045.3	16,767.5	17,605.9	18,574.2	19,688.7	20,870.0

ცხრ. 4. ნაერთი ბიუჯეტი

(მილიონი ლარი)	2017 ფაქტ.	2018 მოსალ.	2019 პროგნ.	2020 პროგნ.	2021 პროგნ.	2022 პროგნ.
შემოსავლების ძველი პროგნოზი	10,865.0	11,470.0	12,330.0	13,230.0	14,190.0	0.0
ცვლილებები სულ	56.2	0.0	0.0	14.0	45.0	15,286.0
გადასახადები	38.9	0.0	0.0	14.0	45.0	14,196.0
გრანტები	-34.4	0.0	0.0	0.0	0.0	340.0
სხვა შემოსავლები	51.6	0.0	0.0	0.0	0.0	750.0
შემოსავლების ახალი პროგნოზი	10,921.2	11,470.0	12,330.0	13,244.0	14,235.0	15,286.0
ხარჯები და არა ფინანსური აქტივების ძველი პროგნოზი	11,220.0	12,145.0	13,100.0	14,030.0	14,974.0	0.0
ცვლილებები სულ	288.3	35.0	195.0	235.0	285.0	16,388.0
ხარჯები	49.3	35.0	35.0	35.0	35.0	11,338.0
შრომის ანაზღაურება	-11.1	0.0	0.0	0.0	0.0	1,960.0
საქონელი და მომსახურება	25.7	0.0	0.0	0.0	0.0	1,715.0
პროცენტი	-13.5	0.0	0.0	0.0	0.0	673.0
სუბსიდიები	71.7	0.0	0.0	0.0	0.0	970.0
გრანტები	-51.9	0.0	0.0	0.0	0.0	95.0
სოციალური უზრუნველყოფა	13.9	0.0	0.0	0.0	0.0	4,640.0
სხვა ხარჯები	14.5	35.0	35.0	35.0	35.0	1,285.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	238.9	0.0	160.0	200.0	250.0	5,050.0
ხარჯები და არა ფინანსური აქტივების ახალი პროგნოზი	11,508.3	12,180.0	13,295.0	14,265.0	15,259.0	16,388.0

ცხრ. 5. საგადასახდელი ბალანსი

(მლნ აშშ დოლარი)	2017 ფაქტ.	2018 მოსალ.	2019 პროგნ.	2020 პროგნ.	2021 პროგნ.	2022 პროგნ.
მიმდინარე ანგარიში ძველი პროგნოზი	-1,526.7	-1,560.3	-1,582.6	-1,546.2	-1,442.8	0.0
ცვლილებები სულ	210.6	231.1	212.2	177.1	118.7	-1,271.9
საქონელი	-194.9	-256.3	-301.6	-357.2	-425.5	-5,687.3
საქონლის ექსპორტი	-30.1	-22.8	-29.0	-36.3	-44.8	6,282.9
საქონლის იმპორტი	164.8	233.6	272.6	320.9	380.7	11,970.2
მომსახურება	-62.8	-11.2	-34.3	-63.1	-99.5	3,440.1
მომსახურების ექსპორტი	85.4	161.0	152.5	140.5	123.3	6,461.5
მომსახურების იმპორტი	148.1	172.1	186.9	203.7	222.8	3,021.4
წმინდა ფაქტორული შემოსავლები	354.1	377.8	417.7	456.0	489.6	-745.8
წმინდა მიმდინარე ტრანსფერები	114.1	120.8	130.4	141.5	154.2	1,721.2
მიმდინარე ანგარიში ახალი პროგნოზი	-1,316.1	-1,329.2	-1,370.4	-1,369.1	-1,324.1	-1,271.9

ცხრ. 6. დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვა

(მლნ ლარი)	2017 ფაქტ.	2018 მოსალ.	2019 პროგნ.	2020 პროგნ.	2021 პროგნ.	2022 პროგნ.
ფართო ფული M3 ძველი პროგნოზი	18,559.8	21,083.8	24,115.4	27,918.6	32,713.0	0.0
ცვლილებები						
წმინდა უცხოური აქტივები	112.1	10.7	25.7	42.2	60.8	3,187.1
უცხოური აქტივები	616.8	79.9	88.5	98.0	108.6	18,690.6
უცხოური ვალდებულებები	504.8	69.2	62.8	55.8	47.8	15,503.5
საშინაო აქტივები	-255.6	-163.0	-207.6	-262.4	-330.6	34,813.8
მთავრობის წმინდა დავალიანება	-113.3	-113.3	-153.3	-167.3	-212.3	455.5
ეკონომიკის დანარჩენი სექტორის დავალიანება	52.9	188.1	187.8	151.7	133.6	42,954.9
სხვა მუხლები წმინდა	-195.2	-237.8	-242.1	-246.8	-251.9	-8,596.6
ფართო ფული M3	-143.5	-152.3	-182.0	-220.2	-269.8	38,000.9
ფართო ფული M3 ახალი პროგნოზი	18,416.3	20,931.5	23,933.4	27,698.4	32,443.2	38,000.9